განკარგულება:**g-17. 17232682**
თარიღი:**25/09/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიული) პარკი“-ს დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიული) პარკი“-ს დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა #60ა)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ “ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი”

წერილის ნომერი: **57-1623258129**
თარიღი: **15/09/2023**

ადრესატი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქ. N5

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ დავით ზაალიშვილს

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის ზაფხულის საკურორტო სეზონი ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში ტრადიციულად დაიწყო 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და დასრულებულად გამოცხადდა 15 სექტემბერს.

საკურორტო სეზონის დაწყებამდე დაგეგმილი გვქონდა და გეგმის მიხედვით შევასრულეთ მთელი რიგი ღონისძიებები და სამუშაოები, როგორც ინრასტრუქტურის ასევე ტექნიკური მიმართულებით, რათა საკურორტო სეზონის მიმდინარეობა ყოფილიყო ნორმალური მდგომარეობით.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა პარკის ტერიტორიაზე მდინარე ბორჯომულაზე გადასასვლელ ხუთ ხიდს. მისი განხორციელებისათვის ნებართვა მივიღეთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან, რის შემდეგაც ჩვენს მიერ გამოცხადებულ იქნა ელექტრონული ტენდერი, სადაც გამარჯვებული კომპანია იყო შ.პ.ს. ,,ჰედეფ ჯორჯია.“ აღნიშნულმა კომპანიამ მოახდინა ხუთივე ხიდის რეაბილიტაცია, მთლიანად შეიცვალა ხის საფარი. ლითონის კონსტრუქცია დამუშავდა კოროზიის საწინააღმდეგო მასალით და შეიღება საღებავით. ელქტრონული ტენდერი გამოცხადებული გვქონდა 110 760 (ას ათი ათას შვიდასსამოც) ლარზე, ხოლო გამარჯვებული კომპანიის სატენდერო თანხამ შეადგინა 98 392, 92 (ოთხმოცდათვარემეტი ათას სამას ოთხმოცდათორმეტი ლარი და 92 თეთრი) ლარი .

შევასრულეთ, როგორც ცენტრალური პარკის, ასევე დაბა წაღვერის დასასვენებლი პარკის ტერიტორიაზე შესასვლელი კარის, საბაღე სკამების, განათების ბოძების, ლითონის ნაგავსყრელების და მთლიანად ლითონის კონსტრუქციების სამღებრო სამუშაოები.

ქალაქის მერიასთან შეთახმებით და საკრებულოსო გარემოს და აგრარულ საკითხთა კომისიის ნებართვით პარკის ტერიტოიაზე 50 ძირი ფოთლოვანი ჯიშის ხე-მცენარეს ჩაუტარდა გადაბელვის სამუშაოები.

მთელი საკურორტო სეზონის განმვლობაში, როგორც ცენტრალურ პარკში, ასევე კოსტავას სახელობის ბაღში და დაბა წაღვერის პარკში, რეგულარულად სრულდებოდა ტერიტორიის გაწმენდითი, დასუფთავების და სათიბი სამუშაოები. აგრეთვე მდინარე ბორჯომულას ნაპირების, ე.წ. ,,შვიდი გზის” და გოგირდის აბანოებთან მიმავალი გზის გაწმენდითი დასუფთავების სამუშაოები. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული სახის სამუშაოები მიმდინარეობს არა მარტო ზაფხულის საკურორტო სეზონის არამედ მთელი წლის განმავლობაში ყოველდღიულ რეჟიმში.

განვახორციელეთ გამწვანების სამუშაოები: დავგრგეთ ყვავილები, წითელი კოწახურები, ტუიები, წითელი ნეკერჩხლის ნერგები.

მოვაწესრიგეთ ფერადი გარე განათების სისტემა, შევცვალეთ 20 მეტრი სიგრძის მაღალი გამავლობის ელექტრო სადენი, რის გამოც შეფერხებით მიეწოდებოდა ელ. ენერგია პარკის ტერიტორიაზე.

გაწმენდითი სამუშაოები ჩავუტარეთ თბილი მინერალური წყლის ე.წ ,,ბიუვეტს“, რომელიც სპეციალისტის მიერ დამუშავდა სპეციალური ხსნარით.

რამდენჯერმე შევწამლეთ და დავამუშავეთ ტერიტორია ქვეწარმავლების და მღრღნელების საწინააღმდეგო ხსნარით.

მოვამზადეთ საკურორტო სეზონისთვის და ტექინსპექტირება ჩავუტარეთ შვიდ ატრაქციონს, რომელიც განახორციელა შპს ,,ტექინსპექტგარანტი“-მა, რომლებიც სეზონის დასაწყისიდან სეზონის დასრულებამდე მუშაობდნენ გამართლად შეფერხების გარეშე.

სეზონის განმავლობაში ცენტრალურ პარკში მობრძანებული უცხოელი ვიზიტორი, ადგილობრივი დამსვნებელი თუ სტუმარი სარგებლობდა მინერალური წყლის ერთჯერადი ჭიქებით უფასოდ მიწოდების სერვისით.

ზაფხულის საკურორტო სეზონის დაწყებასთან და დასრულებასთან დაკავშირებით 1 ივნისს და 15 სექტემბერს მობრძანებულ სტუმრებს პარკის კუთვნილ ატრაქციონებით მოვემსახურეთ უფასოდ.

ჩვენი შესაძლებლობის ფაარგლებში მონაწილეობა მივიღეთ მიმდინარე კულტურული ღონისძებების ჩატარებაში, როგორც ცენტრალურ პარკში, ასევე კოსტავს სახელობის ბაღში.

ქალაქის მერის ნებართვით და საქართველოს ადგილობრვი თვითმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის შეფასებით ელექტრონული აუქციონის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, გავაიჯარავეთ ცენტრალური პარკის და კოსტავას სახელობის ბაღის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები და არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

ზოგადად, ზაფხულის საკურორტო სეზონი დასრულდა ნორმალურ ფარგელებში, არ ჰქონია ადგილი რაიმე სერიოზულ ინციდენტს და დარღვევას, არ გვყოლია მასიურად უკამყოფილო დამსვენებლი თუ მობრძნებული სტუმარი.

ლავრენტ გელაშვილი

ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი-
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი